დანართი №2

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი

წევრები:

ხათუნა ფარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 29 აპრილის №457384 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეაში“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 23 მაისს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეაში“ (ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №15ა). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები/პრაქტიკის ობიექტები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №55 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - მოდის ტექნოლოგია და დიზაინი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და შესაბამისობაშია სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. „ჯანდაცვის მიმართულების საუკუნოვანი ისტორიის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა ადამიანური რესურსის უწყვეტ განვითარება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების მომზადება, მათი პიროვნული, პროფესიული განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს, ძირითადი პროფილის შენარჩუნებით, დაინტერესებული პირებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სხვა პროგრამების შეთავაზებას. ამისათვის საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას 2020-2027 წლების სტრატეგიის დოკუმენტში განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამებით", რომლის ამოცანაა "1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად". აღნიშნული ამოცანის შესრულება ინტეგრირებულია კოლეჯის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაშიც. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯი მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების აღზრდას და ეს მკაფიოდ იკვეთება მისიასა და სტრატეგიულ დოკუმენტში ამით დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის - მოდის ტექნოლოგია და დიზაინის, კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობა.
   აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდისა ტექნოლოგიისა და დიზაინის“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული დაშვების წინაპირობისა და ხელს უწყობს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, რეგისტრაციას, შერჩევას, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებას, აპლიკანტთა გასაუბრებას და სხვა. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის და განსახორციელებელი პროგრამის სპეციფიკას. აღნიშნული წესის თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ან გაზრდისას მხედველობაში მიიღება: A,B,C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა; პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა; ადამიანური რესურსი; პარტნიორი ორგანიზაციის რესურსი და გამტარუნარიანობა. (პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩასარიცხ პირთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, ხოლო სასწავლო რესურსის ჩამონათვალი წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გამოყოფილია AC, C, A გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და მასალა-ნედლეულით ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულებში მოცემული ტექნიკური აღჭურვილობა სწავლის შედეგის მიღწევისათვის, ხელმისაწვდომია პრაქტიკის ობიექტზე. საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 2.1.1.4.- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენლობაში არის არჩევითი მოდული „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლი“, 7 კრედიტის მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების“ მე-2 მუხლის 2.8. პუნქტით, რომლის მიხედვითაც კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №55 ბრძანებით **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ იდენტურია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა, შესაბამისია პროგრამის შინაარსის, მისაღწევი სწავლის შედეგებისა და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია.**

8. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შეცვლისა და გაუქმების წესთან და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში; Secondary Vocational Qualification in Fashion technology and design, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები და ა.შ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 90 კრედიტი, ხოლო იმ პირებმა, ვისაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.
შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კოლეჯის სტრატეგიული გეგმა;
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ და მოდულები (კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №55 ბრძანება);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდის ტექნოლოგია და დიზაინი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №228 10/10/2024წ. (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №82 07/05/2025წ);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოდის ტექნოლოგია და დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კოლეჯ პანაცეას პირველი კორპუსის, IV სართულზე, სადაც განთავსებულია: AC სასწავლო გარემო: სამხატვრო - რომელშიც პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა 15 საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი); პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი), დაფით და საჭიროებისამებრ, მოდულის თემატიკიდან გამომდინარე პროფესიული სტუდენტებისთვის ხატვის ტექნიკური საშუალებებით. AC სასწავლო გარემო : საკონსტრუქტორო სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტიპის ინვენტარით: კონსტრუირების მაგიდა, 15 სკამი (სტანდარტული) პროფესიული სტუდენტებისათვის, მანეკენი (ქალის, კაცის, ბავშვის), სახაზავი იარაღების კომპლექტი (დიდი ცირკული, კუთხემზომი, ფარგალი, კონსტრუქტორის სახაზავები და სპლაინი), დაფა. AC სასწავლო გარემო: სამკერვალო - რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელების მიზნისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსით-ინვენტარით: 15 სხვადასხვა ტიპის საკერავი მანქანებით, მიმმართველი თათებით (თითოეული საკერავი მანქანისთვის), ხელით საკერავი ნემსების კრებულით, საუთოო მაგიდით, გარემოში ასევე არის უთო, სანტიმეტრული ლენტი, სათითე, სარღვევი, მეტრიანი სახაზავი, მაკრატელი, ქინძისთავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაკრები და სხვა. C სასწავლო გარემო : საგამომჭრელო, რომელიც აღჭურვილია: საგამომჭრელო მაგიდებით და საგამომჭრელო ინვენტარით. A სასწავლო გარემო: რომელშიც პროფესიულ სტუდენტთა საკლასო სამუშაო ადგილების რაოდენობაა 15 სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი); პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი), დაფა, კომპიუტერი და პროექტორი.
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია საწარმო - შპს პრემიერატმ", რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის" თანაგანხორციელება. ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები: „საწარმოო პრაქტიკა", „დარგის გაცნობა" და „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლი". ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელის არსებობაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა ორივე პრაქტიკის ობიექტზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 2.2.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 30 (ოცდაათი) პროფესიული სტუდენტი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 მასწავლებელი, აქედან 6 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხე არ შეექმნას პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.
ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებიც და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგებიც. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. **დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ის არის კვალიფიციური, წარმატებული სპეციალისტი, მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. მისი მოვალეობაა პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე ზრუნვა, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის ლოგიკური და ჰარმონიული შეთავსება, პროგრამის შინაარსზე ზრუნვა, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა, ჩართულობა ვალიდაციის პროცესში. **ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ექპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით (თავი 3 მუხლი 18). განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.
წესის თანახმად პროფესიული მასწავლებელი მიმართავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს ან/და შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, და შესაბამისი მოდულის პროფესიულ მასწავლებელთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.
ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით, პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 6 პროფესიულ სტუდენტს, სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე, დათვლილია მიღებული შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა- ნედლეულის ღირებულება კომუნალური და სხვა ხარჯი. აქედან გამომდინარე დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია და და დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №228 10/10/2024წ. (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №82 07/05/2025წ);
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის №17 ბრძანებით (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №4 20.01.2025წ.) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ- ერთი მექანიზმია, რომელიც ეფუძნება ხარისხის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე). აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კმაყოფილების კვლევის კითხვარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) ფორმებს სასწავლო პროცესის, პროგრამების განხორციელების ხარისხის, პროფესიული მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის ხარისხის, სტუდენტური სერვისებისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით. კითხვარების ანალიზის საფუძველზე ხარისხის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
   ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №82 07/05/2025წ), რომლის მეორე მუხლით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავების, დამატების, ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესი რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. განათლების ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე დასწრების მასალების ანალიზის საფუძველზე, იგეგმება სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შევა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.
   ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №228 10/10/2024წ. (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №82 07/05/2025წ);
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის №17 ბრძანებით (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №4 20.01.2025წ.);
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ ნაწილია სასწავლო გეგმა, რომელიც აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.
   ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაცულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანთლებლო საქმიანობის დებულებაში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინების ნაწილი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები.
   ინდიკატორის 2.4.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.
   ინდიკატორის 2.4.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით - (თავი 3 მუხლი 18) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ამდენად, ინდიკატორის 2.4.1.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. პროგრამის სამი მოდულის: „საწარმოო პრაქტიკის“, „დარგის გაცნობისა“ და „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლის“ განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „პრემიერატმთან“ (12.03.2025წ.) პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულების გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების შესაძლებლობა პროფესიული სტუდენტებისათვის. გამოყოს სამუშაო სივრცე და ინსტრუქტორი პროფესიული სტუდენტებისათვის. ამდენად, **ინდიკატორი 2.4.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №58 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგიის და დიზაინისათვის“. აღნიშნული წესით განსაზღვრულია სამუშაო ადგილის ორგანიზება, მუშაობის დროს უსაფრთხოების წესების დაცვა, პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები, სამუშაო შესრულების დროს უსაფრთხოების წესები და პირველადი დახმარების პროცედურები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. A/C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთოხების დაცვის წესები. ხოლო პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია რომ კომპანია იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტებს გააცნობს უსაფრთხოების ნორმები. ამდენად, **ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №55 ბრძანებით;
- „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №228 10/10/2024წ. (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №82 07/05/2025წ);
- ხელშეკრულება შპს „პრემიერატმთან“ (12.03.2025წ.);
- უსაფრთხოების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგიის და დიზაინისათვის“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №58 ბრძანებით;
- ინტერვიუს შედეგები;
- დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას (თავი 4), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესები, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების წარმართვის წესები.
   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1.- ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 4 თებერვლის №60 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას შიდა ვერიფიკაციის წესი“ რომლის შესაბამისადაც, შიდა ვერიფიკაცია არის გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. შიდა ვერიფიკაციის სისტემა არის ინტერაქტიური და დახმარებაზე ორიენტირებული პროცესი. შიდა ვერიფიკაციის მიზანია: ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება; პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების საჭიროებების იდენტიფიკაცია; პროგრამის განმახორციელებელ პირთა მუშაობის ხარისხის მონიტორინგი; ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება. **გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების 34-ე მუხლით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი. რომლის მიხედვითაც მოდულის მიმდინარეობის განმავლობაში სტუდენტის დადასტურებული სწავლის შედეგების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის სამსახურში და მოდულის დასრულების შემდეგ მტკიცებულებები აღრიცხულ უწყისთან ერთად ბარდება სასწავლო პროცესის სამსახურს და ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყისები ინახება უვადოდ.
   ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებას. იგი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში. კოლეჯი პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს იყენებს მათი შემდგომი განვითარებისათვის, საჭიროებების განსაზღვრისათვის, კონსულტაციებისა და დამატებითი მეცადინეობების ჩატარებისთვის. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2..4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №228 10/10/2024წ. (ცვლილება დირექტორის ბრძანებით №82 07/05/2025წ);
- „შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას შიდა ვერიფიკაციის წესი“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 4 თებერვლის №60 ბრძანებით;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

13.06.2025წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: